ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 4
1929

სახელგანი

გამოწვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწერ ჟურნალ „პიონერს“ 2 თვით და ვიწვევ შემდეგ აძხანაგებს ბორჯომის ქართული შრომის სკოლიდან, რომ იმათაც გაძოიწერონ და გაავრცელონ ჩვენი ჟურნალი „პიონერი“: 1) ვერა ლომსაძეს, 2) დ. არამაშვილს, 3) ნ. კუპრაძეს, 4) ქ. შალიაშვილს, 5) დ. ეიფიანს, 6) სამსონიძეს, 7) ნინო გელაძეს, 8) თ. ჩოხელს, 9) თ. კობახიძეს, 10) უ. ტატიშვილს.

პიონერი ვანო ნათელაშვილი.

ქ. ბორჯომის ქართულ შვიდწლედთან არსებული ბუხარინის სახელობის კოლექტივის წევრნი ვიწერთ 15 ცალ ჟურნალ „პიონერს“ სამი თვით და ამავე მიზნით ვიწვევთ შემდეგ კოლექტივებს: საბავშო სახლის ნ|პ. კოლექტივს; ჩალხის წელის ნ|პ. კოლექტივს და აგრეთვე ბორჯომის შრომის სკოლის კოლექტივებს.

პიონერთა დავალებით
1. ვანო ნათელაშვილი.
2. ჟორა ტატიშვილი.
3. თ. ჩოხელი.
4. გიორგი მუმლაძე.
5. თამარ კობახიძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

		გვ.
1.	კომინტერნის 10 წლის თავი — ა. მაშაშვილი	1
2.	8 მარტი — ვ. ლუარსამიძე	2
3.	პატარა მათხოვარი — მოთხრობა — ნ. გორდაძე	3
4.	თებერვლის ზეიმი — ლექსი — ა. მ—ლი	5
5.	მებრძოლი — მოთხრობა — შ. ესებუა	6
6.	ბესიკოს კულტლაშქრობა— ლექსი — ი. აბაშიძე	9
7.	8 მარტისთვის — ლექსი — ა. ადამია	9
8.	გაზეთი	10
9.	ბიჭი ვაჟკაცი — მოთხრობა — ხ. მთვარაძე	12
10.	დაგვატყვევეთ ყველანი — ა. მ.	13
11.	ლომების პირველი გაცნობა — ლ. ახათიანი	14
12.	ინგლისის პიონერები — სანი	15
13.	ინდოეთი — ალ. გორგაძე	15
14.	ირმების ჯოგი — ს. ერთაწმინდელი	16
15.	თებერვლის ზეიმი მუსიკა — კოკელაძის, სიტყვები ა. მ—ლის გარეკანზე	

329.15 3(051)
3-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზადო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1929
28 თებერვალი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 4

კომინტერნის 10 წლის თავი

1919 წლის 2 მარტს დაარსდა **მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალი**. მისი დაარსების ინიციატივა რუსეთის კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის. მთელი ქვეყნის მუშებში გაძლიერდა რევოლუციონური მოძრაობა. ცენტრალურ ევროპაში გაძლიერდა მუშათა შეიარაღებული გამოსვლები და აღმოსავლეთში ეროვნულ-რევოლუციონური მოძრაობა.

მე-II ინტერნაციონალი აშკარად მუშათა მოღალატე ორგანიზაციად იქცა. ეს მოღალატეობა აიხსნება სოც.-დემ. პარტიებში წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების სიჭარბით. 1914 წლის ომმა კი სავსებით გამოამჟღავნა მე-II ინტერნაციონალის ნამდვილი ბუნება. ს.-დ. პარტიათა უმრავლესობამ ხელი აიღო კლასობრივ ბრძოლაზე და „სამშობლოს დაცვის“ შავრაზმული დროშის ქვეშ დაირაზმა. მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა კაპიტალისტებთან ბრძოლის ნაცვლად მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიის მიერ მოწყობილ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტას.

მესამე ინტერნაციონალის შექმნა აუცილებელ ამოცანად გადაიქცა. საჭირო იყო მე-II ინტერნაციონალის მიერ დაქსაქსული მუშათა კლასის დარაზმვა მტკიცე კლასიური ხელმძღვანელობის ქვეშ.

1915-16 წლებში იყო რევოლუციონურ მუშათა ინტერნაციონალის შექმნის პირველი ცდა ციმერვალდის და კინტალის კონფერენციებზე. ასეთი გაერთიანების (კომინტერნის) შექმნის აზრი ამხ. **ლენინს** ეკუთვნოდა. ამგვარად, აუცილებელი იყო ახალი, ინტერნაციონალის ჩამოყალიბება, რაც მოხდა მოსკოვში 1919 წლის 2 მარტს. რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისა) ამხ. **ლენინის** მეთაურობით შექმნა ეს მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიო მუშათა კომუნისტურ მოძრაობას.

დღეს კომინტერნი აერთიანებს ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს, ხელმძღვანელობს მათ ბრძოლას ბურჟუაზიული ხელისუფლების დასამხობლად და მთელ მსოფლიოზე მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამყარებლად.

ოქტომბრის რევოლუციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ის, რაც ნათქვამია პირველი ინტერნაციონალის წესდებაში: „მუშების განთავისუფლება არის საერთაშორისო და არა ადგილობრივი, ეროვნული ამოცანა“. **კომუნისტური ინტერნაციონალი მიზნად ისახავს მთელი მსოფლიო მუშების და ღარიბ გლეხების განთავისუფლებას. კომინტერნის რიგებში ძმურად ერთდებიან მთელი დედამიწის მშრომელები, თეთრკანიანი, ყვითელკანიანი თუ შავკანიანი.**

ჩვენ კიდევ მოველით სისხლისმღვრელ ომს, მაგრამ ამ ომს კომინტერნი გადააქცევს რევოლუციის დაუშრეტ ქარიშხლად.

კომინტერნი გზაა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ.

„მესამე ინტერნაციონალის (კომინტერნის) მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ცხოვრებაში გაატარა მარქსის უდიდესი ლოზუნგი, ლოზუნგი, რომელმაც ჯამი გაუკეთა სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის საუკუნებრივ განვითარებას, ლოზუნგი, რომელიც გამოიხატება პროლეტარიატის დიქტატურის ცნებით. ეს გენიალური წინასწარმეტყველება, ეს გენიალური თეორია დღეს სინამდვილედ იქცევა“ (ლენინი).

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის შტაბს — კომინტერნს!

ა. მ—ი.

როზა ლუქსემბურგი

კლარა ცეტკინი

ნ. კრუპსკაია

პროლეტარიატის დიქტატურა საგოლოოდ, თუ მუშა-ქალიც

8 მარტი

8 მარტი მშრომელ ქალთა დღეა, მაგრამ ის ბავშვების დღესასწაულიცაა, ვინაიდან 8 მარტი დედების დღესასწაულია.

8 მარტი მთელი ქვეყნის მუშა და გლეხ-ქალებს ახსენებს ჩვენს საერთო მიზანს, კომუნისტური საზოგადოების დასაარსებლად ბრძოლის აუცილებლობას და სხვ.

ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ მოსპო ის აუტანელი უთანასწორობა, რომელიც წინად არსებობდა ქალებსა და მამაკაცებს შორის.

დღეს მშრომელი ქალი მამაკაცთან გათანასწორებულია და მამაკაცთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალისტურ აღმშენებლობაში.

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე მუშა და გლეხი-ქალი უფლებაყრილი იყო, დღეს იგი საზოგადოებრივი ადამიანია, თუ ძველი რეჟიმის დროს მშრომელი- ქალი შევიწროებული იყო და მასზე არავინ არ ზრუნავდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ის ყოველმხრივ უზრუნველყოფილია.

იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეს მშრომელ ქალს თავი გაითავისუფლოს საოჯახო სამუშაოსაგან, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაარსებულია ძრავალი თავშესაფარი, კერა მუშა-ქალების ბავშვებისათვის; მუშა-ქალმა, რომელიც თავის შვილს დაუწესებულებაში სტოვებს, იცის, რომ იქ ბავშს კარგად მოუვლიან და უპატრონებენ.

დღეს ათასობით სწავლობენ მშრომელი ქალიშვილები მუშფაკულტეტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და მომზადებულები ეკლინებიან საბჭოთა საზოგადოებას.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ, პიონერებს, ამ დღეს განზე ვიდგეთ? ცხადია, არა.

ჩვენ ამ დღეს უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ჩვენს დედებს და დღეს და საერთოდ მშრომელ ქალებს. ოჯახში მათ უნდა შევუშუბოქოთ შრომა, რომ მიეცესთ კულტურული დასვენ ბის საშუალება, რომ შესძლონ კლუბებში და თეატრებში სიარული, წიგნის კითხვა და სხვ.

განმტკიცდება და გაიმარჯვებს ჩაეხმეხა პოლიტიკაში (დასასრული)

არ უნდა დავივიწყდეს ამ დღეს ერთი ძირითადი მოვალეობა პიონერისა ოჯახში:

ჩვენმა დედებმა და დებმა ხშირად არ იციან წერა-კითხვა, ჩვენ კი, პიონერებს, ბევრი რისამე გაკეთება შეგვიძლია, რომ აღმოვფხვრათ წერა-კითხვის უკოდინარობა.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალები მამაკაცებს არაფერით არ ჩამორჩებიან. არც ისე დიდი ხანია, რაც უფლებაყრილი იყვნენ საბჭოთა აღმოსავლეთის მშრომელი ქალები, დღეს კი მათ უკვე გაღვიძეს, მოიხსნეს დედაკაცზე მამაკაცის ბატონობის სიმბოლო — ჩადრი, რელიგიური ბურუსს თავი დაალწიეს და მშრომელ მამაკაცებთან ერთად პრაქტიკულ მონაწილეობას იღებენ ჩვენს კულტურულ მშენებლობაში.

მართალია, საბჭოთა მშრომელი ქალი თავისუფალია, მოკლეა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ძველ დროსთან შედარებით კეთილშობილად ცხოვრობს, მაგრამ ბურჟუაზიული დასავლეთის და დაბაგრული აღმოსავლეთის მშრომელი ქალები კვლავ უუფლებონი არიან, ტირანიაში იმყოფებიან, მონურად ცხოვრობენ.

ამიტომ 8 მარტს ვიგონებთ დასავლეთის მშრომელ ქალებს და მოვუწოდებთ მათ დასავლეთის პროლეტარიატთან ხელ-ხელჩაკიდულებმა იბრძოლონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ; საბჭოთა კავშირი მათთვის გზის მანათობელი ვარსკვლავია.

პროლეტარული რევოლუციის ბელადი ამხ. ლენინი ქალთა საზოგადოებრივ მოვალეობაზე შემდეგს ამბობდა: „პროლეტარიატის დიქტატურა განმტკიცდება და გაიმარჯვებს საბოლოოდ, თუ მუშა-ქალიც ჩაებმება პოლიტიკაში“.

და მართლაც მუშა-ქალები დღეს აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მშენებლობაში, ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა აპარატებში. ეხლიხან საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებულ საბჭოთა გადარჩევაში ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებდენ, ბევრი მათგანი საბჭოებში არჩეული.

გაუმარჯოს ჩვენი დედების და დების დღესასწაულს — 8 მარტს!..

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს და მათ ხელმძღვანელს — კომუნისტურ (ბ) პარტიას!..

ვ—ო.

ბ. ულიანოვა

მარიამ ორახელაშვილი

ფ. ფაფერიდე

გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა დღეს — 8 მარტს!



პატარა მათხოვარი

ზამთარია. თოვლის ფიფქები ერთმანეთში ირევი ნ; ზოგჯერ, თითქოს ერთმანეთს წაეჩხუბენო, შეტრიალდებიან და ბრაზმორეული მიწაზე ცვივიან. მთელი მიდამო თეთრ საბან ქვეშ მოექცა. ზოგჯერ სახლების სახურავებზე საკვამლე მილიდან ბოლი ამოდის. საკმარისი იყო ხუთი წუთი სიარული ქუჩაში, რომ მთელი ტანსაცმელი თოვლის ფიფქებს თეთრად დაეფარა. ხშირად ადამიანები ერთმანეთს ეჯახებოდენ, რადგან თოვლის ფიფქების გამო ძნელი შესამჩნევი იყო მოახლოვებული ადამიანიც კი.

ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში, სადაც წინად სარდაფი იყო, დაკეტილი კარების წინ რაღაც შავად გამოიყურებოდა. გაივლიდა ცოტა ხანი, და შავი ფერი თეთრად იქცეოდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ შავად. ზოგი გამვლელი, რომელიც კი შეამჩნევდა ამ მდგომარეობას, განცვიფრებაში მოდიოდა. დაახლოვებით 16 წლის დიტო ძლიერ დაინტერესდა ცვალებადი საგნით, მივიდა ახლოს და დაუწყო ცქერა. არ გაუვლია დიტოს მისვლის შემდეგ ხუთ წუთს, რომ ცხოველი შეინძრა და თოვლიდან თავი გაითავისუფლა. დიტომ ცხადად დაინახა, რომ ის იყო ადამიანი, რომელიც სიცივისაგან მოკუნტული კარებთან მიწოლილიყო.

დიტო ახლოს მისვლას ვერ ბედავდა და თანაც უცნობი ძლიერ ებრალებოდა. გავიდა რამდენიმე ხანი, და მწოლარემ კიდევ შეიბერტყა ტანი თოვლისაგან, თანაც მაგრად ამოიკვნესა და გმინვა დაიწყო. ეხლა კი ველარ მოითმინა დიტომ, დაჰკარგა შიშის გრძნობა, თამამად ჩაირბინა კიბეზე და თავს წაადგა უცნობ მოქალაქეს.

დიტომ წყნარი და ლმობიერი ხმით უთხრა: „ვინ ხარ მანდ, ძმობილო?“

უცნობი შეიშმუშნა, ნელ-ნელა გვერდი იბრუნა, თავი კი ცოტა ზევით წამოსწია.

— ვინ ხარ მეთქი ასეთ ამინდში აქ? — გაიმეორა დიტომ, რადგან პირველად პასუხი ვერ მიიღო.

— რატომ წუხდები შეკითხვით, აქ ყოფნით შენ ხომ არაფერს გიშლი!

— მე რას უნდა მიშლიდე. მხოლოდ ამ დროს აქ მყოფი შემებრალე.

— ეჰ, რატომ შენც სხვებივით არ ამიარე გვერდი, ნუთუ სხვაზე მეტად შეგებრალე? ნუ იწუხებ, ძმობილო, თავს!

— ამხანაგო, — დაიწყო დიტომ, — მე გეკითხები ვინა ხარ, და მე რატომაც შევიწუხე თავი, მერე გეტყვი.

— ეჰ, განა შეკითხვა საჭიროა იმის შემდეგ, როდესაც ჩემ ტანსაცმელს დაინახავ, ვინცა ვარ? განა ჩემისთანა პირობებში მყოფ ხალხს გარდა ვისმეს აცვია ასეთი ტანსაცმელი?

ეჰ, ჩემო ძმაო, ბევრი უსამართლობა ტრიალებს ამ ქვეყნად და მრავალს შორის მეც გამრია მუხთალმა ბედმა.

ამ დროს გული აუჩვილდა და მარგალიტის მსგავსი ცრემლები გადმოვარდა ორივე თვალიდან.

დიტო სიბრალულის მორევში შეცურდა, მაგრამ გული მყისვე გაიმაგრა და მოკრძალებით უთხრა:

— შემდეგ, შემდეგ, განაგრძე, გენაცვა, სთქვი ყოველივე, და მფარველი მალე გამოგიჩნდება. ნუ გეშინია, კარგი იქნება, ჩვენთან რომ წამოხვიდოდე.

როდესაც მიხომ ტირილით გული მოიჯერა, განაგრძო:

— დიაღ, მე მყავდა მშობლები, დები, ძმები; ვცხოვრობდით ერთ პაწია ქოხში. საბრალო ჩემი დედ-მამა მთელი დღეობით მუშაობდა და ჩვენ, ბავშვებს, სიმშილს ძლივს გვიკლავდა. როდესაც მშობლები სამუშაოდ მიდიოდენ, ჩვენ ჩემი უფროსი დის მფარველობის ქვეშ ვრჩებოდით, რომელიც მაშინ დაახლოებით 6 წლის იქნებოდა, ასე რომ ის გვიწევდა დედის მაგივრობას; როგორც ჩვენ შორის ყველაზე უფროსი.

ერთხელ, ლრუბლიანი დღე იყო, მამაჩემი სამსახურში წავიდა, მხოლოდ დედა შინ დარჩა. ჩვენ ძლიერ გაგვეხარდა დედის შინ დარჩენა, რადგან იშვიათი შემთხვევა იყო ჩვენს სიცოცხლეში. გახარებული ბავშვები ვცელქობდით, დედა კი იჯდა სკამზე და მწუხარების ნაოჭები გადახლართოდა შუბლზე.

— დედა, მსია, მომეცი წადი!

— დედა, მწყურია, წყალი მინდა!

გაიძახოდენ ბავშვები, მაგრამ დედა უძრავად იჯდა. ჩემი უფროსი და კი თითქოს დედის გულის ცემას გრძნობდა და ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდა.

— დედა, დედა, მსია წადი...

— კარგი, შვილო, კარგი, ეხლავე მოგცემ ჭადს.

ამ დროს დედა სკამიდან ნელ-ნელა წამოდგა, მაგრამ უცბად ხველებამ მოუსწრო, სული შეეგუბა და საჩქაროდ ისევ სკამზე ჩაიკეცა. ჩვენ გაგვეხარდა დედის ასეთი მოქცევა, რადგან გვეგონა გვეთამაშებოდა, მივირბინეთ მასთან და ზოგი ზურგზე მოვახტით, ზოგიც თავში ვცემდით და ხან ვკოცნიდით.

თამრო შეეკითხა დედას, თუ რა უნდოდა.

— თამრო, შვილო, წყალი... ჩქარა...

თამრომ საჩქაროდ აიღო წყლით სავსე ჭიქა და დედას მიაწოდა, დედა კი ხარბად დაეწაფა, შემდეგ ცოტა გამოფხიზლება დაეტყო.

— შვილო თამრიკო, წადი ბიჭიკოს და ნუცას ჭადის ნატეხი მოუტანე. იმ ნატეხის მეტი, თოკით რომ დამკიდოთ, მაინც არა მაქვს, ასე რომ ყველას გაუნაწილე, შვილო, და შენც ჭამე.

— მეც მინდა, დედა, ჭადი.

თამრომ ჩამოიღო ფიცრიდან (რომელიც მაგიდის მაგივრობას ასრულებდა) ჭადის ნატეხი, დაამტვრია და ყველას დაურიგა.

ამ დროს დედამ კვნესა დაიწო. ეტყობოდა, ძალზე აწუხებდა რაღაც ავადმყოფობა.

—მოდით, შვილებო, მოდით!—წამოიძახა დედამ.

ჩვენ ნელ-ნელა მივხტოდით და დედის ხვეწნა-მუდარას ყურს არ ვუგდებდით. დედამ ერთხელ კიდევ დაგვიძახა. ამ დროს წამოდგა თამრო და ყველა სათითაოდ დედასთან მიგვიყვანა. დედამ ყველა დაგვკოცნა უსიტყვოდ (რადგ ნ ლაპარაკი უჭირდა და თანაც სიცხე ჰქონდა), ამ დროს მძიმედ ამოიკვნესა და მსწრაფლ თვალები დახუჭა.

— დედა, დედილო, წყალი ხომ არ გინდა? უთხრა თამრომ, მაგრამ პასუხი არ ისმოდა.

— სუ, ჩუმად იყავით, დედას ჩაეძინა და არ გაღვიძოთ, — სთქვა თამრომ და ყველანი პატარა ეზოში გაგვიყვ ნა სათამაშოდ.

არემარეს ბინდი დაეუფლა. სოფელში ხმაურობა მისუსტდა, ჩვენ კი ისევ ქოხის აივან ში ვართ და დედის გაღვიძებას ველოდებით. ამ დროს ეზოს კარები გაიღო და მამა შემოვიდა. ჩვენ მისკენ გავექანეთ. საშინელი დაღვრემილი შემოგვხვდა.

— მამილო, მე მშია...

— მამილო, მე მწყურია, მეძინება... — ისმოდა მამის გარშემო ბავშვების ხმა.

— თამრო, შვილო, ამ დროს ეზოში რა გინდათ? შედით მალე სახლში. დედაშენი სად არის, რომ აქ გამოგიშვათ?

— დედას სძინავს.

— ხომ არ გაგიჟდა ის დედაკაცი, ვის გაუგონია ამ დროს ძილი? დამიცადეთ აქ, შვილებო, და სანთელს ავანთებ.

მამა შევიდა სახლში, აანთო სანთელი და თანაც დედას გადასძახა:

— ქალო, ნატალია, რა დროს ძილია, ადე ზეზე და ბავშვებს მიხედე. მაგრამ დედა უძრავად იყო სკამზე გადაწოლილი. მივიდა მასთან მამა და ნახა, რომ დედა გაცივებული იყო. მამამ საშინლად მორთო ღრიალი. ჩვენც მამის მიხედვით ვტიროდით, თამრო კი გაშწარებული გაჭკიოდა.

გავიდა რამდენიმე ხანი დედის გადაცვალების შემდეგ. ერთ საღამოს მამა შინ არ დაბრუნებულა. სიძ ძილისაგან ღონემიხდილებმა, როგორც იყო, შუალაძისს დავიძინეთ.

დილ თ ადრე გავიღვიძეთ, რადგან იმედი გვქონდა მამას დილისთვის ჭადი მზად ექაებოდა. მაგრამ არც ჭადი იყო და არც მამაჩემი. დავიწყეთ ტირილი. მაძის მეტი ვინ იყო ჩვენი პატრონი! ტირილისა და სიძ ძილისაგან ღონეძიხდილებმა ისევ თამაში ვარჩიეთ ეზოში. თამრო კი ჩვენ თამაშს ნაღვლიანად უკქეროდა, მისი გული რაღაცას ცუდს გრძნობდა.

დღის 12 საათი იყო. ეზოს კარებთან ცხენების ფეხის ხმა მოისმა. ყველამ იქითკენ დავიწყეთ ცქერა. ამ დროს ერთი ცხენოსანი, რომელსაც თეთრი ჩოხა ეცვა, გადმოხტა ცხენიდან და კარი გაიღო, რომელ ც გააფთრებული დანარჩენი ცხენოსნები შემოიჭრენ.

— გზა, ძაღლის ლეკვებო!—დაიყვირა ერთმა, და ამ დროს პატარა ხუცა ცხენის ფეხებ ქვეშ მოექცა. მე შევშინდი და იქვე ვაშლის ხეზე ავკოცდი, თამრომ ტირილი დაიწყო.

— ხმა, კრინტი, თორემ, აი! — და თამროს ზურგზე მათრახი გადუტკლაშუნა. საბრალო თამრო სამიხლად დაიღრიჯა სიძ ვრისგან, ხმის ამოღებას კი ვერ ბედავდა. განა ძეიძლებოდა იმ მხეცებისათვის წინააღმდეგობა გაეწია!..

— გოგო, ოოძ დ ჭყანულხარ ეშმაკივით, დედაშენი სად არის, მოიყვანე ჩქარა!

— დე...და ჩემი.... მოკვ...ვდა...

— ჩქარა, სიმართლე, თორეძ მოვიდა მათრახი.

— სიიი...მართლეა.....

— შესვი ცხენზე და წავიყვანოთ. ეკალზე ეკალი ამოვიაო! — სთქვა ეოთძა.

— ე, ბაჭიავ, მოდექ ახლოს. დედაშენი სად დაიმალა, სად არის?

თებერვლის ზეიმი

დღეს საბჭოთა საქართველო
განვლილ ბრძოლებს ადიადებს
და მზესავით ელიმება
თებერვალის განთიადზე!

ზეიმია, ხალხი მისდევს
ორკესტრების მწყობრად გრიალს,
ამღვრეული ბორგავს ქუჩა
და დროშების ტალღა მიაქვს!

დღეს ცხადია ყველაფერი,
დღეს ვერაგულ მტრებსაც სჯერათ
ჩვენი ძალა, ჩვენი საქმე,
ჩვენი დრო და გამარჯვება.

მაშ, სალამი მშრომელ ძალას,
შავ ზღვასავით ღრმას და ულევს,
გაუმარჯოს მშენებლობის
ახალ კედლებს და სართულებს!..

ა. მ—ლი

— დე....დამ დაიძინა და მელე მამამ მიწაში ჩადო...

— ოხ, ლეკვებო!—და მაგრად გადუტყლაშუნა მათრახი ზურგზე ჩემ პატარა ძმას,რომელმაც საშინლად დაიკივლა, მაგრამ ისევ მალე შესწყვიტა ტირილი, რადგან ჩვენი სახლი ცეცხლის წითელ ენებში იყო გახვეული. თამრო სახლს აღარ დაეძებდა, მაგრამ თავგაჭყლეტილი ნუცას დანახვა საშინელებას გვრიდა მას.

მე ხის ფოთლებში ვიმალებოდი და იქიდან ვუცქეროდი ჩემი და-ძმების გასაჭირს. მართალია, ბევრჯერ მოთმინების ფიალა ამევსო, მაგრამ მე ხომ უმნიშვნელო მოწინააღმდეგე ვიყავი მათთვის.

მალე ცხენოსნები წავიდენ და თამრო თან წაიყვანეს, ნუცა კი თავგაჭყლეტილი ეგდო...

დავრჩით მხოლოდ ორი ძმა; ყოველ წუთს მამას ველოდებოდი, მაგრამ თან იმას ვდარდობდი, ასე არეული ოჯახი როგორ უნდა დავახვედრო მეთქი. სახლი დამწვარი, ერთი და მკვდარი, მეორე—კაზაკების წაყვანილი. ბევრი ვუცადე მას, მაგრამ მისი აჩრდილიც კი არსად ჩანდა. შემდეგ მოვკიდე ჩემ პატარა ძმას ხელი და წავიყვანე სადღაც მოსახლისას და იქ დავტოვე. აგრეთვე იქ გავიგე კიდეც, თუ მამაჩემს რატომ დააგვიანდა მოსვლა: ჩემი მამა ყოფილა დიდი რევოლუციონერი, რომელსაც მოუკლავს მეფის ჟანდარმი, ამიტომ ის დაუჭერიათ და ჩამოუხრჩვიათ; აგრეთვე დედაც უნდა ჩამოეხრჩოთ, როგორც მამას თანამოაზრე. ამრიგად იმ დღის შემდეგ დავეხეტები ქუჩა-ქუჩა და დღეში ერთი ლუკმა პური სანატრელი მაქვს.

დაათავა თუ არა მიხომ თავისი თავგადასავალის თხრობა, ველარ მოითმინა წყეული დღეების მოგონება და ქვითინი მორთო. სიბრალულით გამსჭვალული დიტო მთვრალსა გავდა.

— ნუ სტირი, ჩემო მიხო, ახლა აღარა გიშავს რა. მე კომკავშირელი ვარ და ვალდებული ვარ იმდენი დახმარება გაგიწიო, რომ უპატრონო ბავშთა თავშესაფარში წაგიყვანო. მაშ ნულარ იგვიანებ, ადექი და საჩქაროდ წამოდი.

მიხოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ასეთი პატიოსანი ახალგაზრდა, გულკეთილი ადამიანი შეხვდა, მაგრამ თან გულში ამბობდა: ეს მე იმიტომ დამეპატრონა, რომ კომკავშირელია, მას მტკიცედ აქვს გამჯდარი ჩემი საყვარელი ძია ლენინის იდეალები. ოხ, ნეტავ თავშესაფარში მიმიღებდენ და მერე მე ვიცი, როგორი აქტიური ვიქნები. განა მამაჩემ მა ამ საქმეს არ შესწირა თავი!

მაშ მე ახლა მმართებს სიმტკიცე და სანატრელი საბჭოთა ხელისუფლების ერთგულება. ოხ, საბრალო მამაჩემო, ნეტავ შენ ამ დროს მოსწრებოდი!

მიყვებოდა მიხო დიტოს ხმაამოუღებლივ და თან ასეთი აზრები დანავარდობდენ მ. ს თავში. ამ დროს მივიდენ ერთ შენობასთან, რომელიც გარეგნულად ძლიერ ლამაზი და მომხიბლავი იყო. როდესაც შიგ შევიდენ, მიხოს სიამოვნების სურვილმა დაუბინა ტანში. დიტომ მიიყვანა ერთ მაგიდასთან, სადაც მიხოს ჰკითხეს სახელი, გვარი და სხვა...

დიტოს ენერგიული დახმარებით მიხო მოეწყო უპატრონო ბავშთა თავშესაფარში. მიხომ აქ პირველად ჩაიცვა თავის სიცოცხლეში ახალი ტანსაცმელი და პირველად გამოიძღო კუჭი.

საბავშო სახლში მიხო ბედნიერად თვლიდა თავს და ქუჩაში გავლის დროს უპატრონო ბავშებს ათვალიერებდა, რომ იმათთვისაც შეექმნა ამ ქვეყნად ბედნიერება, როგორც მას შეუქმნა საბჭოთა ხელისუფლებამ.

დიტო ხშირად დადიოდა მიხოსთან და ეკითხებოდა, თუ როგორ გრძნობდა ის ამ სახლში თავს. მიხო მივარდებოდა მას და დაუკოცნიდა მთელ სახეს.

— ბედნიერი ვარ, ჩემო დიტო, ბედნიერი, მაგრამ ჩემი ძმა, ჩემი ბიჭიკო, ჩემო თამრიკო, ვინ იცის, რა დღეში არიან, იქნება კიდეც მოკლეს!

— ნუ გეშინია, ჩემო მიხო, იმათაც იპოვიდა ვინმე კომკავშირელი და შეიძლება მალე აქ მოიყვანონ შენთან.

ნ. ბორდაძე.

ღამეა[1]). ქარი სისინებს. კალისტრატე თავისი ამხანაგებით ტყეს აფარებს თავს. გარშემო სიჩუმეა, მხოლოდ ზოგჯერ ჭოტის კივილი აფხიზლებს არემარეს.

— სუ, მგონია ვილაცა მოდის, — სთქვა ნესტორმა და იქვე ხეს ამოეფარა.

ყველამ ხმა გაკმინდა და იარაღი მოიმარჯვეს ხელში. ის ის იყო თოფები უნდა გაესროლათ, რომ სტვენის ხმა მოესმათ.

— შეჩერდით, ამხანაგებო, ჩვენები არიან! — წამოიძახა ივანემ, რომელმაც იცნო თავ-სიანების ნიშანი და თვითონაც ისეთივე ნიშნით უპასუხა.

ამ დროს გამოჩნდენ მათი დამხმარე ამხანაგები, რომლებიც ერთმანეთს გულწრფელად მიესალმენ და კალისტრატეს გადარჩენა მიულოცეს.

— აბა, მეგობრებო, აქ გაჩერების დრო არ არის, ჯალათები აუცილებლად აგვედევნებიან და საჭიროა ამ ტყეს გათენებამდე გავცილდეთ და სადმე შევაფაროთ თავი უშიშარ ადგილას, — უთხრა ივანემ ამხანაგებს, და სასწრაფოდ გაუდგენ გზას.

ყუმბარის კვამლში გახვეული გვარდიელები კიდევ ვერ გამორკვეულიყვნენ, რომ გაისმა გვარდიელების უფროსის ხმა:

— რას დაყრილხართ, თქვე არამზადებო!

ის ცოფიანივით მივარდა იმ ბოძს, სადაც კალისტრატე იყო გაკრული. დაინახა თუ არა, რომ კალისტრატე გაპარულიყო, საჩქაროდ შემოტრიალდა და დაიყვირა:

— ყველას დაგახრჩობთ, დაგხვრეტთ, სად გაუშვით ტუსაღი?

გვარდიელები წამოცვივდენ; მოცვივდენ ციხის მცველებიც, რომელთაც გაეგოთ ტუსაღის გაქცევა.

— აბა, საჩქაროდ შემოარტყით ალყა იმ ტყეს, ისინი აუცილებლად იქ შეაფარებდენ თავს.

გვარდიელები მთელი ღამე დაეძებდენ ტყეში ტუსაღს და მის ამხანაგებს, მაგრამ ვერავინ იპოვეს. დარწმუნდენ თუ არა, რომ ტყეში არავინ იყო, კალისტრატეს სახლს მიაშურეს, რადგან, მათი ფიქრით, გაქცეული ტუსაღი ტყეში თუ არა, შინ მაინც შეაფარებდა თავს.

ღამე უკვე კარგავდა თავის ძალას, როდესაც გაშმაგებული გვარდიელები შემოერტყენ კალისტრატეს სახლს; გვარდიელების უფროსი რამდენიმე მცველით მიადგა კარს და ძლიერად დაუწყო ბრახუნი.

მარიამი ამ დროს ბუერანში იყო და ვერ გამორკვეულიყო, რა ხდებოდა მის გარშემო. უცბად მოესმა ძლიერი ბრახუნი კარებზე. ის შიშმა შეიპყრო, კანკალ-ცახცახით წამოდგა და ძლივ-ძლივობით მივიდა კარებთან.

გაიღო თუ არა კარი, გვარდიელების უფროსი მცველებით გააფთრებულ ლომივით შეევარდა შიგ, დაეტაკა მარიამს და შეჰყვირა:

— ეხლავე მითხარი, სად დამალე, თორემ მოგკლავ, შე არამზადავ!

მან მარიამს მაგრად ჩასჭიდა ხელში ხელი და გადაუგრიხა.

შიშისაგან აცახცახებულმა მარიამმა ძლივს წაილუღლუღა:

— ვინ სად დავმალე, ბატონო?

— ხედავთ, როგორ მეკითხება, თითქოს არაფერი იცოდეს.

— ჩქარა, ჩქარი მეთქი, თორემ დაგახრჩობ, შე ძაღლო! — და ისე მძლავრად გადაუგრიხა ხელი, რომ სიმწრისაგან გულწასული მარიამი იატაკზე გაიშხლართა.

ბრაზმორეული მივარდა მას და წიხლი დასცხო მუცელზე, სტაცა ხელი და ზეზე წამოაყენა.

— მითხარი მეთქი, სად არის ის ავაზაკი. არ ამბობ? წაიყვათ ეს საძაგელი და მაგრად შეუკარით ხელ-ფეხი.

გვარდიელები უფროსის ბრძანების ასრულებას შეუდგენ და საშინლად აწამებდენ საბრალო მარიამს.

— ოთახი გასინჯეთ და არაფერი არ დაგრჩესო შეუმჩნეველი.

[1]) დასაწყისი იხ. „პიონერი", № 2.

მეორე ოთახში ნოეს ეძინა, მაგრამ გვარდიელების ხმაურობაზე შეშინებული წამოვარდა. აქ თ-იქით გაიხედა, რადგან იქვე დედა ეგულებოდ, მაგრამ ვერ დაინახა. ამ დროს ნოეს ოთახში შეცვინდენ მცველები, მივარდენ და ცემით გარეთ გააგდეს, სადაც მარიამი თოკით იყო შეკრული.

ნოემ დედის დანახვაზე ყვირილი მორთო:

— დედა, დედა!..

გვარდიელების უფროსმა, დაინახა თუ არა დედისაკენ მიმავალი ნოე, ხელი ჰკრა და კედელთან მიაგდო.

— თქვე უსინდისოებო, ავაზაკებო, რა დაგიშავათ საბრალო ბავშმა, რომ უწყალოთ ცემთ! — მოთქვამდა დაბალი ხმით მარიამი.

ნოე მოცილდა ბარბაცით კედელს და იქვე ღია კარებით გავიდა ეზოში.

დიდხანს ეძებეს სახლში ტუსაღი, მაგრამ მისი კვალიც ვერ იპოვეს; გვარდიელების უფროსი განრისხდა და ცოფიანს დაემსგავსა. ის მივარდა მარიამთან ხმალამოწვდილი და დაუსვა ხმალი თითზე.

— არც ეხლა იტყვი, სად არის ის ავაზაკი?

— ოხ, ურჯულოებო, სისხლის მსმელებო, რა გინდათ ჩემგან, რას მაწვალებთ!

— იცოდე, სთქვი, სად არის შენი ქმარი, თორემ დაგახრჩობ, დაგხვრეტ, ნაკუწ-ნაკუწად გაქცევ!

— მხეცებო, უსინდისოებო, მე რა ვიცი სად არის ჩემი ქმარი, თქვენ უკეთ არ იცით? თქვენ გყავდათ ჩაკეტილი ბნელ საკანში, სინათლის დანახვაც კი სანატრელი იყო მისთვის.

— მაგ გველის ენას ამოგართმევ პირიდან! გესმის თუ არა, მითხარი მართალი! — და კიდევ დაუსვა ხმალი თითზე. მარიამს გული შეეღონდა და ის იყო უნდა წაქცეულიყო, რომ უცბად ზურგზე მათრახი გადაუჭირა გვარდიელების უფროსმა.

მარიამს თვალებიდან თითქოს ცეცხლი წამოცვივდა. მან სიმწარისაგან საზარლად დაიწივლა.

— ახლავე ცეცხლი წაუკიდეთ სახლს. დასწვით ყველაფერი, სულიერი და უსულოც.

გვარდიელები სასწრაფოდ გაექანენ თივის ზვინთან, რომელიც კალისტრატეს საზამთროდ საქონლისათვის ჰქონდა შენახული. დაანგრიეს ზვინი და, რომ ცეცხლის დანთება გაადვილებოდათ, სახლს გარშემო შემოაყარეს და ცეცხლი წაუკიდეს.

წუთში მთელი სახლი ცეცხლის ენებმა დაფარა. გარშემო ცეცხლმა ნათელი მოფინა ყველაფერს. ახლომახლო ხეებსაც თითქოს თავისი ენებით თავისაკენ ეპატიჟებოდა.

კალისტრატეს სახლი მალე ნახშირად და ნაცრად იქცა. შავად გამოიყურებოდა მხოლოდ შენობის ქვის ნაწილი.

ნოე, გაიპარა თუ არა ეზოში, გაექანა ღობისაკენ, გადახტა და უნდოდა დამალულიყო, მაგრამ უცბად მოაგონდა თოკით შეკრული დედა და საჩქაროდ უკანვე დაბრუნდა.

გვარდიელების უფროსმა თითქოს გული მოიჯერა იმით, რომ ქალი თოკებით შეაკვრევინა, აწვალა, აწამა და სახლი დაუწვა. მარიამი მან სახლზე ცეცხლის წაკიდების წინ კარში წიხლის ცემით გამოაგდო, იქნებ ცეცხლის დანახვაზე შეეშინდეს და მითხრას კალისტრატე სად არისო, მაგრამ მტკიცე ხასიათის იყო მარიამი და თავის ტანჯვა-წვალებას ამჯობინებდა მ-წინავე პიროვნების — ქმრის — სიკვდილსა და დახრჩობას.

რადგან ვერაფერი დასტყუა, უფროსმა ისევ ცეცხლმოკიდებულ ს ხლში შ აგდო.

ქალაქში ბრძანება გასცეს გზები შეეკრათ და როგორმე ტუსაღი კ ლისტრატე მუნჯიაშვილი შეეპყროთ. მთელი ადმინისტრაცია ფეხზე იდგა და გაშმაგებით დაეძებდა კალისტრატეს.

ც მდე აწვდენილი ცეცხლის ალების დანახვაზე ნოემ თვალები დახუჭა, შიშის ზარმა შეიპყრო, მივიდა და ღობის ძირს დაჯდა. მალ-მალე იცქირებოდა ეზოში და ცდილობდა როგორმე გაეგო, გვარდიელები წავიდეს თუ არა, ან დედამისი სად იყო. მალე დარწმუნდა, რომ ეზოში არავინ იყო. ამ დროს გულშემზარავი ტირილი შემოესმა.

— ოხ, ეს უთუოდ დედაა!

გადახტა ღობეზე და იქეთკენ გაექანა, საიდანაც ტირილ-კივილი შემოესმა.

— შვილო, ნოე, ნოე... უი, უი-უი!.. და თან ფორთხვით დადიოდა ცეცხლში გახვეული სახლში.

ნოე აქეთ გაექანა, იქეთ, მაგრამ სახლში შესავალი გზა ვერსად იპოვა. ამ დროს დაიგრიალა ოთახის კარებმა და ჩამოინგრა. ნოეს კიდევ მოესმა დედის მისუსტებული ხმა:

— ვაი, შვილო...

ნოემ გასწირა თავი, ცეცხლის ენებს აღარ დაერიდა და ჩამონგრეული კარიდან ოთახში შევარდა. საჩქაროდ გაუხსნა ხელ-ფეხი დედას და უხდოდა კარში გამოეყვანა, მაგ-ამ მარიამი სიხარულ საგან დაიბნა, შვილი გულში ჩაიკრა და მის ალერსში უბედურებისაგან თავის დაღწევა სულ დაავიწყდა. ამ დროს ი რიალა ჭერმა. მარიამი გამოერკვა, საჩქაროდ დასტაცა სისხლიანი ხელი ნოეს და ძლივს-ძლივობით გაიკვლია გზა ეზოში გასასვლელად.

მარიამს ძლიერ უკვირდა, რომ მის დასახმარებლად არცერთი მეზობელი არ მოვიდა, მეზობლები კი შიშით გარეთ ვერ გამოდიოდენ, რადგან გვარდიელები მათაც უარეს დღეს დააყრიდენ; ერთი მეზობელი, კალისტრატეს მეგობარი, შემთხვევით სახლში ყოფილიყო, როდესაც მისი მეგობრის ოჯახის ასეთი აწიოკება გაეგო. მან გიჟივით მოირბინა მარიამთან საშველად. როდესაც ეზოში შევიდა, გაიხედა სახლისაკენ, რომელსაც ცეცხლის ენები ეტრფიალებოდენ, და დაინახა, რომ უეცრად ცეცხლიდან გამოხტენ ნოე და მარიამი ხელი-ხელჩაკიდებული. მას პირველად ეს მოჩვენება ეგონა, მაგრამ მალე შემოესმა გულშემზარავი ტირილი.

დედა და შვილი გადარჩენ.

შ. ესებუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო არ მგვყავდეს ბესო რიგში,
ვინ დარაზმავს მებრძოლ რგოლებს!
ის მზად არის ლაშქრობისთვის,
თუ დაძახილს გაიგონებს.
სიხარული ხალხს რომ მისცეს,—
მიზანია მისი ბრძოლის,
რომ არ სწვავდეს გულს და ფილტვებს
თამბაქო და ალკოგოლი.
მაგრამ სხვაზე რით ილაშქროს,
როს ლოთი ჰყავს სახლში მამა,
და დედაც ხომ მუდამ ნატრობს
ამ სენისთვის კეთილ წამალს.
ქარხანაში შრომობს დღისით
განუწყვეტელ ჯაფის შემძლე,
და ღამით კი, თრობის მიზნით,
სარდაფებს და ღვინოს ეძებს.
არა, ბესომ მამის ეს ზნე
უნდა მოსპოს პირველ რიგში,
რაგინდ ძლიერ გაუძნელდეს,
რაგინდ წახდეს იერიში.
და, ჰა, უკვე დადგა ღამე,
გახალისდა ცეცხლი ბუხრის,
მოდის მამა, თავს აქანებს
და ვერ უძლებს ნასვამს მუხლი.
კარგი დროა სწორედ ეხლა,
რომ დასახულ მიზანს მისწვდეს,
მობარბაცე მამას შეხვდა
და კულტურულ ბაასს იწყებს.

მოყვა ბესო ნაცნობ ამბიბს,
თან ფიქრს საქმეს არ აშორებს,
თუ ლოთობა როგორ ავნებს
ოჯახსაც და თვითონ მშრომელს.
რომ მათ ეხლა გად წყვიტეს
ძველის ნაშთი მოსპონ ბრძოლით,
რომ წყენს ძლიერ გულს და ფილტვებს
ღვინის სმა და ალკოგოლი.
თან ყურს უგდებს თითქო მამაც,
გაინაბა, გვერდით მიჯდა,
ბესოც უწევს ხმას თამამად
და არიგებს კიდეც დინჯად.
მაგრამ, ეჰა! ამ საქმისთვის
სად სცალია, თურმე, ვინმეს??
ხრრრ, ხრრ, ხრრ, ხრრრ —
მკვეთრად ისმის
ძილის ხმა და სუნთქვა მძიმე.
და ბესიკო ბრაზს ვერ ფარავს,
უმღეროდა, განა, ნანას??
როგორ ტყვილა ჩაიარა
ამოდენა საუბარმა!..
ვის გაუმხელს ხვალ ამ ამბავს,
ვინ შეუქებს ბრძოლას ვინა,
რომ სალაშქროდ შეხვდა მამას
და მამამ კი... დაიძინა.
მარცხის გ~ძნობა გრძნობას მისდევს
და თან ფიცს სდებს ბესო გულით,
რომ ხვალ მართლა მამას ფხიზელს
გადააჩვევს ღვინის წყურვილს.

ირაკლი აბაშიძე.

8 მარტისათვის

ვიგონებ ეხლა, თუ როგორ შეხვდენ
განვლილ ბრძოლების ჭექას და ქუხილს,
როს მათრახებით უპასუხებდენ
მშრომელი ხალხის კვნესას და წუხილს!
გადამწყვეტ ბრძოლის წუთი დგებოდა,
პირქუშად იდგა მტკიცე მხედარი,
სისხლის წვეთებად ხურდავდებოდა
მშრომელის ხალხის ბრძოლა მედგარი.
ცა ბინდდებოდა ლეგა ღრუბლებით,
გულში არ ქონდათ სევდა და შიში,
ელავდა ხალხი, შრომის უბნები
დგებოდა ბრძოლით, დგებოდა რისხვით!
როცა გათავდა ბრძოლა გმირული
და მშენებლობას გავუღეთ კარი,
ქალი, რომელიც თავგანწირული
იბრძოდა მაშინ, ეხლაც აქ არი!

მე მიხარია, როდესაც მხვდება
მოლიმარ სახით მანქანის გასწვრივ!
წარსულში იყო მონა და ეხლა
არის ცხოვრების მთავარი ძარღვი.
დღეს ჩვენთან ერთად არის და შრომობს,
ჩვენს მშენებლობას კვალდაკვალ მისდევს!
მეგობართ შორის ხალისით ცხოვრობს
და უერთდება მებრძოლთა რიგებს.
ვინ მოიგონებს დღეებს სისხლიანს,
როცა მივყვებით ანთებულ გულებს,
მათი თვალები დღესაც ისირიან
აღმშენებლობის ახალ ლოზუნგებს.
მე მიხარია, როდესაც მხვდება
მოლიმარ სახით მანქანის გასწვრივ,
წარსულში იყო მონა და ეხლა
არის ცხოვრების მთავარი ძარღვი.

ალიო ადამია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ცოცხალი საქმე"

ჩვენი კოლექტივის საქმიანობა.

მარიამ ორახელაშვილის სახელობის ტფილისში არსებულ საბავშო სახლში პიონერთა კოლექტივი ოთხი წლის წინ დაარსდა. კოლექტივში გაერთიანებული არიან მთიული ბავშები, რიცხვით ორმოცდაათამდე. ბავშები ძალიან დაინტერესებული არიან კოლექტივის მუშაობით, და ხელმძღვანელის აქტივობის გამო მუშაობა ნაყოფიერია.

გასულ დღეებში კოლექტივის საბჭომ სამთვიური მუშაობის ანგარიში ჩააბარა კოლექტივის გაერთიანებულ კრებას, სადაც ნათლად ჩანდა მუშაობის მსვლელობა. კრიტიკის ქარცეცხლში გატარდა ყოველივე. ამ კრებაზე გამოყოფილ იქნა სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა პრაქტიკული წინადადებების გამომუშ. ვება.

კოლექტივი დაყოფილია ხუთ რგოლად, რგოლის მეცადინეობა ხდება კვირაში ორჯერ, და პიონერები ერკვევიან სხვადასხვა საკითხში. საბჭოს ხელმძღვანელობით კოლექტივი უშვებს ორკვირეულ კედლის გაზეთს „პიონერთა ხმა", სადაც პიონერთა 50 პროცენტი თანამშრომლობს. გაზეთში ათავსებენ ბავშები თავის ნაწარმოებებს და წერილებს აქტიურ საკითხებზე. გამოდის აგრეთვე გაზეთის სპეციალური ნომრები სხვადასხვა რევოლუციურ დღესასწაულებზე. გაზეთში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი კულტურულ რევოლუციას.

კოლექტივი აძლევს გეზს მთელი საბავშო სახლის საქმიანობას. მას იდეური კავშირი აქვს დაჭერილი სტამბასთან, ქარხანასთან, სხვა ძლიერ კოლექტივთან და კომკავშირის უჯრედთან. კოლექტივში გამოყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური კომისია, სამოსწავლო კომისია, წ.-კ. უცოდინართა დამხმარე კომისია, რადიომოყვარულთა წრე, უმერთოთა წრე, მიმდინარე პოლიტიკური წრე (რადგან კოლექტივში არიან ისეთებიც, რომლებიც მალე გადაირიცხებიან შემცვლელ ორგანიზაციაში) და დრამწრე.

კვირაში ერთხელ ეწყობა გაერთიანებული კრება, სადაც კ თდება მოხსენებები სხვადასხვა საკითხზე. რადგანაც ბავშები მუდმივ ერთად არიან (საბავშო სახლი), მოწყობილია სხვადასხვა სახელოსნო, სადაც პიონერები თავისი ხელით აკეთებენ ნივთებს, რითაც კლასიკურ ცოდნასთან ერთაც პრაქტიკულ ცოდნასაც იძენენ. სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული ბავშთა ფიზიკურ აღზრდას. კოლექტივში არის ტანვარჯიშის მასწავლებელი.

გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც ბავშები აღტაცებით კითხულობენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პიონერები ძალიან ეტანებიან მოზარდ მაყურებელთა თეატრს, ძალიან დაინტერესებული არიან პიესებით და თვით თეატრით.

გრიგოლ ხვისტანი.

როგორ ჩავატარეთ შაბათოგა.

ოზურგეთის „ეპი.ს", პარტიასთან და კომკავშირთან არსებულ ამხ. ქართველიშვილის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციამ შაბათობა მოაწყო.

ჩვენი მიზანი იყო მოგვეგროვებია რკინეულობა. დავიწყეთ მზადება, დავწერეთ პლაკატები, დავათვალიერეთ წინდაწინ სხვადასხვა დაწესებულება.

გათენდა მეორე დილა. ძალიან კარგი დარი იყო, მზე მაღლიდან გვიღიმოდა და გვიალერსებდა. მოვიყარეთ თავი სასწავლებლის ეზოში პიონერებმა, კომკავშირელებმა და უპარტიო მოწაფეობამ.

პიონერები ფორმაში იყვნენ; სიხარულით, სიმღერით მოდიოდენ, მოქონდათ სახლიდან რკინების ნამტვრევები და უყრიდენ თავს ერთ ალაგას. ცოტა ხანს ვიყავით, ვითამაშეთ და ბოლოს დავეწყეთ და გავუდეეთ გზას; გზაში მოვდიოდით სიმღერით, დოლით, საყვირით და სხვადასხვა ლოზუნგებით, მაგ: „ძირს ლოთობა", „გაუმარჯოს კულტურას", „კულტურის საშვალებით ვებრძოლოთ რელიგიას", „გაერთიანდით უმერთოთა კავშირში", „ძირს რელიგია" და სხვ. ბოლოს წავედით სხვადასხვა დაწესებულებაში, მოვუყარეთ თავი რკინეულობას და მოვაგროვეთ გურიის კომიტეტის ეზოში, შემდეგ კი დავბრუნდით შინ.

პიკორი ნ. ჭყონია.

მუშაოგა გამოცოცხლდა

(ოქტომბრის თემის პიონერ-კოლექტივში)

ოქტომბრის თემის, ს. ცაიშის კახათის (ზუგ. მ.) ბავშთა პიონერ-ორგანიზაცია 1924 წ. დაარსდა. პირველ ხანებში მუშაობა მოისუსტებდა, რაც გამოიწვია ხელმძღვანელის გულგრილობამ, მაგრამ სამაგიეროდ დღეს გამოყოფილი არიან აქტიური კომკავშირელები: ამხ. ამხ. სურმავა დამიანე, გრიგოლ მიქენაია და კაპიტ. შამუგია. აღნიშნული ამხანაგები დაუღალავად მუშაობენ პიონერ-ორგანიზაციაში. 1927 წ. ორგანიზაციაში ითვლებოდა 80 პიონერი და ოქტომბრელი. დღეს, სულ მცირე ხნის განმავლობაში, ორგანიზაცია გაიზარდა, ძალ 200-მდე წევრი ჰყავს, რამაც გამოიწვია კოლექტივის სამ ნაწილად გაყოფა: ს. დავითიანში 80 მდე პიონერია, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. გ. მიქენაია, ცაიშის კახათში-120 პიონერი და ოქტომბრელია და დაყოფილი არიან ორ ნაწილად: პირველს ხელმძღვანელობს დ. სურმავა, მეორეს კი კ. შამუგია. კოლექტივებში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრე: პიკორთა, დრამწრე და სხვა, გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „პიონერთა ხმა", გამოწერილი აქვთ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები: „ოქტომბრელი", „პიონერი" და „ახალგაზრდა კომუნისტი". გარდა ამისა, პიონერები მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ - სასარგებლო მუშაობაში და სხვა. ზემოთ აღნიშნული ამხანაგების ხელმძღვანელობით და პიონერების მონაწილეობით იმართება ხშირად დილა, უფასო წარმოდგენები, რითაც ვლეხობა კმაყოფილია.

ს. ზინაიდორაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ზედა ზეგნის პიონერთა მუშაობა

ზედა ზეგნის პიონერთა ორგანიზაცია 1928 წელს ჩამოყალიბდა და ყოველგვარ მუშაობას ეწევა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ორგანიზაციას დიდად აბრკოლებდა პიონერული ლიტერატურის უქონლობა, მაგრამ დღეს ეს დაბრკოლება გადავლახეთ. ხსხებულმა ორგანიზაციამ გამოიწერა ჟურნალი „პიონერი", რომლის ერთი ნომერი უკვე მოგვივიდა.

1929 წელს ამ ჟურნალის გამოწერა ჩვენ შევძელით შემდეგნაირად: რადგანაც ჩვენი პიონერთა ორგანიზაცია ღარიბი, ამ ტომ თითოეულმა პიონერმა მოიტანა თითო აბაზი და გამოვიწერეთ ჟურნალ „პიონერი",—ამით ჩვენ შევძელით ოდნავ დაბრკოლების გადალახვა.

ეხლა მინდა გაგაცნოთ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა. ჩვენს ორგანიზაციას ხელმძღვანელობს პიონერთა საბჭო, რომელშიც შედიან მოზრდილი პიონერები, აგრეთვე კომკავშირის უჯრედმა ჩვენ მოგვცა ხელმძღვანელი კომკავშირელი მასწავლებელი, რომელიც სათანადო ხელმძღვანელობას გვიწევს.

ჩვენს ორგანიზაციაში არის ჩამოყალიბებული დრამ წრე, რომელიც დგამს საღამოებს.

ვუშვებთ ყოველთვიურად კედლის გაზეთს, კიდევ არის ჩამოყალიბებული უმმერთოთა წრე, რომელიც ატარებს ანტირელიგიურ კამპანიებს.

პიონერი **მარუსა გორგოძე.**

ფორპუსტი არ მუშაობს.

ქ. ბორჯომის ნ. პ. რაიბიუროს ხელმძღვანელობით ქ. ბორჯომის 7-წლედთან ჩამოყალიბდა ფორპოსტი, ამორჩიეს პრეზიდიუმი, სადაც შედიან აქტიური ამხანაგები. ფორპოსტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ გამოჰყვეს დიმიტრი ყიფიანი, რომელიც არაფერს არ აკეთებს, არც ერთხელ არ მოწვეულა პიონერთა და უპარტიო მოწაფეთა გაერთიანებული კრება. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და ფორპოსტის მუშაობა გამოცოცხლდეს.

პიონერი.

რეგბორ ჩატარდა კრება

(ქარელი, გორის მაზრა)

ა/წ 8 თებერვალს შესდგა ნ. პ. კრება. მაზრიდან იყო გამოგზავნილი წარმომადგენელი, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა პიონერთა საბჭოს წევრების არჩევა, წრეების ჩამოყალიბება, როგორიცაა: მომღერალთა წრე, ჭრა-კერვის წრე და სას. სამეურნეო წრე.

ამოვირჩიეთ აგრეთვე სანიტ-კომისია, საკლუბო კომისია და სარედაქციო კოლეგია.

ზემოხსენებული წრეების ჩამოყალიბების შემდეგ დაისვა საკითხი ქაღალდის შეგროვების შესახებ; აქაც ბევრი იმსჯელეს და დაადგინეს მოეწყოს პიონერების ლაშქრობა ქაღალდის შეგროვებისათვის.

პიონერი **ლადო ლომიტაშვილი.**

სილაურის თემში

სილაურის თემში (ოზურგეთის მაზრა) ხუთი წელია არსებობს ნ/პ კოლექტივი. კოლექტივი ამ ხანებში სრულ უხელმძღვანელობას აქვს ადგილი.

არ იწვევა კრებები, არ ეწყობა გასართობ-ექსკურსიები ან სხვა რაიმე. ადგილობრივი კომკავშირის თემკომი თითქო არაფერს ამჩნევდა. არც უჯრედების წარმომადგენლების ხელმძღვანელობა ჩანს. თვით კომკავშირელები არც-კი იცნობენ პიონერებს, არ იციან, ვინ არიან პიონერები, ან რა ევალებათ კომკავშირელებს მათ მიმართ. გარდა ამისა, არც პიონერებმა იციან პიონერ-კოლექტივის მნიშვნელობა, რაც მიეწერება, ცხადია, კომკავშირის თემკომის და უჯრედების წარმომადგენლების გულგრილობას. კომკავშირის სამბიურო ყოველთვის გზავნის დირექტივებს, მაგრამ ის სადღაც კუნჭულში იკარგება; ასეთი უხელმძღვანელობით კოლექტივი უსათუოდ დაიშლება.

ბავშკორი **კ. სარიშვილი.**

ბავშვი
ბავშვი
ბავშვი

შემოდგომის ნისლიანი ღამე ყვითელმა მთვარემ გაანათა. ხმაურით გახელებული მიდამოები სამარისებულ სიჩუმეს მოუცავს. დღისით ლამაზი ბუჩქნარები საშიშარ აჩრდილებივით აყუდებულან. არაფერი არ ისმის. არის მხოლოდ ღამე, ფოთლების შრიალი და ცაზე მოელვარე მთვარე მოციმციმე ვარსკვლავებით. ლადო და ყურშა დადიან, დაუღალავად ეძებენ დაკარგულ სახედარს. იგი არსად არა ჩანს. თანდათან ღრმა ჭაობში შევიდენ.

— ლეგა, ლეგა! — ხანგამოშვებით ეძახის ვირს ლადო. ყურშა ინაბება. ძებნა ამაოა. ისევ მიდიან. აგერ ბარდებში გაიხლართენ. პატარა ხევში ჩაცვივდენ; მაგრამ მაინც მიდიან!.. ლადოს ბრაზი მოსდის. ის წყევლის ჩუმ, განაბულ და უსიცოცხლო ღამეს. მნათობიც რომ ისეთი დასდევს!.. ცივი მთვარე, დაბინდული და უმხურვალო! აფსუს, დღის სინათლევ ცეცხლოვანო!.. რა უნდა იპოვოს ამ ყორანივით შავ ჭალაში!.. ფეხებთან სისველე იგრძნო. ძირს დაიხედა. ოდნავ დასველებული ბილიკი იპოვნა, დააშტერდა. პატარა ნაფეხურები გაარჩია.

— ეს უთუოდ ჩემი ვირის კვალია! — სიხარულით გაიფიქრა და ძაღლს დაუძახა:

— ყურშა, ნახე, ნახე, ყურშა!..

ძაღლმა დასუნა, ცხვირი მაღლა ასწია და ბილიკზე კმაყოფილი წკმუტუნით აძუნძულდა. ლადო უკან დაედევნა. ცოტა ხახს ირბინეს. ბუჩქნარები გალიეს და პატარა ტაფობზე გავიდენ. ლადომ შორიდანვე გაარჩია თავისი დიდყურა. იგი გაშტერებული იდგა.

— ვიპოვეთ, ყურშა! — ოდნავ შეჰკივლა ბიჭმა. იგი აღტაცებით გაქანდა. ძაღლი ერთბაშად შეჩერდა და აღრიხდა. „რა დაემართა?“ — გაიფიქრა ლადომ, გაოცდა. ვირის წინ ხბოს ოდენა ცხოველი დათამაშობდა. ის ხან ჩაცუცქდებოდა, ხან-კი ირგვლივ ურბენდა სახედარს, რომელიც მის ყოველ მოძრაობას ხარბად ადევნებდა თვალს. „ეს რაღაა!?“ თავისთვის წამოიძახა ყმაწვილმა. წამსვე ელვასავით გაჰკრა სადღაც გაგონილმა: „მგელი საქონლის წინ თაშაშს დაიწყებს, შემდეგ გაიყოლებს თან და შესჭამს“.

— ნუთუ მგელია? სწორედ ის არის! — წაიჩურჩულა უშიშარმა ბიჭმა და კომბალი მოიმარჯვა. პატარა გული ძრისხანებით აევსო. როგორ? მგელმა უნდა შესჭამოს მისი ლეგა? არასოდეს!..

— ყურშა! — დასჭყივლა მან ქოფაკს და მამაცად გადახტა. ძაღლი დაუნდობლად გავარდა ხადირისაკენ.

— დაიჭი, ყურშა, დაიჭი! — კიოდა ლადო. ხელმარჯვე კომბალი ჰაერს ჰკვეთდა. კისერგაშეშებული ნადირი ჭალის სიღრმეს ეცა, და სახედარიც უკან დაედევნა.

— ყურშა, მალე, მალე, ყურშა!..

მამაცი ბავშის ყვირილმა საშიშარი ჭალა შეანძრია. გამხნევებული ძაღლი მგელს მუხის ქვეშ მოეწია და კუდში სწვდა. იგი მოტრიალდა, ულმობელი კბილები დააკრაჭუნა და ყურშას მკერდში დაეტაკა. ძაღლმა ბუჩქნარებში უკანა ფეხებით ჩაიკეცა, წკავწკავი დაიწყო.

— ფსტ!.. ყურშა, არ შეშინდე! ყოჩაღად! — ყვიროდა ლადო და საოცარი სისწრაფით გარბოდა. ქოფაკი ფეხზე წამოდგა. მგელი და ძაღლი ხელმეორედ შეებენ ერთმანეთს. აშკარად ჩანდა, რომ ნადირი ძალავდა, მაგრამ ბიჭმა მიუსწრო და უშიშრად შინდის კომბალი მგლის კეფაზე მრისხანედ დაუშვა. პატარა ხელებმა საკვირველი ძალა გამოიჩინა, ნადირი დარეტიანდა..

— აბა, ყურშა, ყოჩაღად! ყურშა... ყურშა! — გრგვინავდა ლადო. მაგარი კომბალი სეტყვასავით სწრაფად ცეკვავდა მგლის თავზე. გამხნევებული ძაღლი მძვინვარედ ეცა ნადირს და თავრეტდასხმულს ხახაში ჩაუყარა ბასრი კბილები. მგელმა გასაქცევად გაიწია, მაგრამ ის, დაღლილი და ნაბეგვი, ერთგულმა ძაღლმა ადვილად დაიმორჩილა, წააქცია, საშინელი ძალით წაუჭირა ყანყარატოში, ხროტინი დააწყებინა. ასე კარგახანს იყვნენ. ლადომ კომბლით ცემა მანამდე არ შეწყიტა, ვიდრე გატეხილ შუბლზე სისხლი არ დინახა. ნადირი თანდათან გაიგუდა, მოძრაობა შეწყვიტა. ყურშა პირს მაინც არ უშვებდა.

— კარგი, ყურშა, მოკვდა! — ვაჟკაცურად წამოიძახა ლადომ, ვირს ხელი წაავლო და ცოცხლად მოახტა.

— ჰაცე! — შესძახა მან და გამაძღარი სახედარი ბილიკზე გააქროლა. ყურშამ გაგუდულ მგელს თავი დაანება, პატრონს დაედევნა. განთიადი მოტანებული იყო.

დილით მამაც ბიჭს თავისიანები ჟრიამულით მეეგებენ.

— სად იყო!? — შესძახა მამამ. ლადომ დაწვრილებით უამბო. ყველა გაოცდა. როგორ? 12 წლის ბიჭმა მგელი მოკლას?

— აბა, წამიყვა, მაჩვენე! — უთხრა ეჭვით მეურმემ.

— წავიდეთ! — ამაყად უპასუხა ლადომ. ისინი გაეშურენ. ორიოდე საათის შემდეგ უკან დაბრუნდენ. მათ თან მოიტანეს ძგლის მშვენიერი ტყავი. უჩვეულოდ აღტაცებულმა ინვალიდმა სთქვა:

— შვილო! სანატრელი ტანისამოსი საკუთარი შრომით გიშოვნია. მგლის ტყავი ფასი ღირს, იმაზე მეტი, ვიდრე შენ გჭირდება.

ყოჩაღ ყმაწვილს სახედრის პოვნა ისე არ გაუხარდა, როგორც ეს ამბავი.

— მაშ ტყუილად არ მოვცდენილვარ! — შეჰყვირა მან და ბავშური გატაცებით ათამაშდა.

ერთი კვირის შემდეგ ლადომ ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა. მისი ამხანაგი პიონერები გულით ნატრობდენ ამგვარ განსაცდელს.

ს. მთვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვატყვევეთ ყველანი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲣᲚᲔᲑᲘ

თქვენ, ალბათ, გაზეთებიდან იცით, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში გაფიცვები ხდება.

კაპიტალისტებს უნდათ, რომ მშიერმა შვილებმა მშობლებს მოსთხოვონ გაფიცვების მალე დამთავრება. მაგრამ კაპიტალისტები სცდებიან.

ბავშვები, პირიქით, ეხმარებიან თავიანთ მშობლებს გაფიცვებში. ეს ხდება გერმანიაში, სადაც მუშათა მდგომარეობა აუტანელია. ბავშვებმა შეადგინეს სია იმ შვილებისა, რომელთა მშობლები გაიფიცენ, და მოთხოვეს სკოლის ადმინისტრაციას დღეში სამჯერ მათი კარგად კვება ცხელი საჭელებით და თბილი ტანისამოსების დარიგება. მათ სკოლის მოწაფეობაში ღარიბ მოწაფეთა დამხმარე კამპანია ჩაატარეს: **„დეე, თითოეულმა მოწაფემ მოუტანოს ცხელი საჭმელი იმ მეგობარ მოწაფეს, რომლის მშობლები გაიფიცენ,—ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ გაფიცულებს“.**

ერთ-ერთ უქმე დღეს გერმანიის გამოჩენილი კომპოზიტორის შუბერტის გარდაცვალების 100 წლის თავთან დაკავშირებით ბავშვებმა გაჰყიდეს რამდენიმე ათასი ღია ბარათი ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. ამ დროს მთელი მოწაფეობა აცხადებდა: **„ჩვენ ამ ღია ბარათებს გავყიდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისგან მიღებულ თანხებს მოვახმართ გაფიცულ მშობელთა შვილებს“.**

პიონერებმა შეადგინეს სია მდიდარ მცხოვრებთა (რომლებიც მათ მეზობლად მდებარეობდენ) და მათ სთხოვდენ შემოწირულებას ღარიბ პიონერთა სასარგებლოდ. ხშირად ადმინისტრაცია ატყვევებდა მათ შემოწირულების შეგროვების გამო, რაც ძალინ აკრძალული იყო გერმანიაში, მაგრამ პიონერების ლტოლვას ვინ გადაეღობებოდა.

პიონერები სასტიკად ებრძვიან შტრეიკბეხერებს (ე. ი. მუშებს, რომლებიც მუშაობენ გაფიცული მუშების მაგიერ. რასაკვირველია, ეს ღალატია მუშების მიმართ).

სკოლებში პიონერები შტრეიკბეხერების შვილების ახლოსაც არ ჯდებიან. აგრეთვე იმ სახლების მოაჯირებზე, სადაც ცხოვრობენ შტრეიკბეხერები, პიონერებმა გამოაკრეს შემდეგი განცხადება: **„აქ ცხოვრობს შტრეიკბეხერი“.** პიონერების ერთი რაზმი გაიყო რამდენიმე ჯგუფად. თითოეული ჯგუფი დილ-დილობით მიადგებოდა რომელიმე შტრეიკბეხერის სახლის კარებს და საზიზღარ პროტესტს უცხადებდა სახლიდან გამომავალ შტრეიკბეხერს და სტვენით და ყვირილით აცილებდა მას ქარხნის კარამდე.

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ — ᲯᲐᲕᲨᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ.

გერმანიის ხელისუფლება რომ არ აშენებდეს ამდენ ჯავშნოსანს, მაშინ გერმანიის სხვადასხვა სკოლაში 4 383 562 მოწაფე მიიღებდა ყოველდღიურად უფასო სადილსა და საუზმეს. ეს იციან გერმანიის პიონერებმა და ამიტომ იბრძვიან ისინი ჯავშნოსნების გამრავლების წინააღმდეგ. ამ დროს პიონერებს, რასაკვირველია, ატუსაღებს პოლიცია და უზომო ცემა-ტყეპით უმასპინძლდება.

აი, როგორი წერილი დაწერა გერმანიის ორმა პიონერმა — ალფონსმა და გერტმა: „ჩვენ ერთმანეთს მარკუსის მოედანზე შევხვდით. ჩვენ 10 ვიყავით. გადავწყვიტეთ დემონსტრაცია გაგვიმართა პლაკატებით და ლოზუნგებით ჯავშნოსნების აგების საწინააღმდეგოდ. ჩვენ პლაკატზე წარწერილი გვქონდა შემდეგი ლოზუნგი: **„პური—გაფიცულთა შვილებს. თქვენ გაქვთ ფული ჯავშნოსნების ასაშენებლად და ერთ გროშსაც არ იმეტებთ მშიერ პიონერთა დასახმარებლად“.** ჩვენ დემონსტრაციას არ მიუღწევია მეორე ქუჩის ბოლოამდე, რომ უეცრად თავს დაგვესხენ დაგეშილი პოლიციელები და ცემა-ტყეპით ლამობდენ ჩვენს დაშლას.

— ჩვენ მივალწევთ დანიშნულ ადგილს და დავიშლებით! — ერთხმად შევძახეთ ჩვენ, მაგრამ პოლიციელები ვერ ითმენდენ ჩვენ პროტესტს. უეცრად ერთმა პოლიციელმა ალმაცერად გადამხედა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა: „შენ, ჩემო კარგო, სადღაც მინახავხარ, აბა, წამოდი ჩემთან“.

მე მაინც რიგში ვიდექი და სიმღერით განვაგრძობდი გზას. როდესაც პოლიციელებმა წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მაშინ ჩვენ ერთხმად შევძახეთ: „არ მოგცემთ ნებას დაატუსაღოთ ჩვენი რომელიმე ამხანაგი, დაგვატუსაღეთ ყველანი“.

ყველაზე უფრო მეტს ყვიროდა გერტი და პლაკატს მედგრად ატრიალებდა. ამ დროს მას მიუახლოვდა უფროსი პოლიციელი და უთხრა:

— თუ ასე გიხარია, მაშინ შენც წამოდი, ბიძია, ვირების აბანოში! — ამ სიტყვების შემდეგ მან გვტაცა ხელი მე და გერტს და ორივეს პოლიციის უბანში ამოგვაყოფინა თავი.

პოლიციის უბანში პიონერი ალფონსი და გერტი სამ საათზე მეტს ისხდენ. დემონსტრაციის დანარჩენი წევრები დაუშლელად იდგენ რიგებში და პროტესტს აცხადებდენ ორი ამხანაგის—ალფონსის და გერტის — დატუსაღების წინააღმდეგ, მიუხედავად იმ ცემა-ტყეპისა, რომლითაც პოლიციელები უმასპინძლდებოდენ მათ. ბოლოს დატუსაღებული ალფონსი და გერტი გაათავისუფლეს და პიონერების დემონსტრაცია სიმღერით გაემართა მთავარი ქუჩებისკენ.

Ა. ᲒᲘ—Ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომეგის პირველი გაცნობა

ათი საათის სვლის შემდეგ ჩემი ქარავანი ერთი მთის ძირას დაბანაკდა. თუმცა მექარავნეები ძალიან დაღალული იყვნენ სიარულით, მაგრამ სასიამოვნო დასვენების მოლოდინში მხიარულად შეუდგენ ბანაკის მოწყობას.

ჩემი ყურადღება მიიპყრეს ლამაზმა მტრედებმა, რომლებიც აფრიკის სხვა მტრედებისგან თავისი მწვანე ბუმბულით განირჩეოდნენ. მათი გულისათვის მე ზევით შევყევი პატარა მდინარეს, რომლის ნაპირებზედაც ჩვენები ბანაკს აწყობდენ.

ჩვეულების წინააღმდეგ, ბანაკიდან გავედი უმხლებლებოდ, მხარზე თოფგადაგდებული. თოფი საფანტით იყო გატენილი. მდინარის სანაპიროებზე ხშირი ჩირგვნარი იზრდებოდა, მათ ზევით კი ჯგუფ-ჯგუფად ხეები ამართულიყო. მტრედები ხეების ერთი ჯგუფიდან მეორეზე ფრინდებოდენ. მტრედების დევნაში შეუმჩნევლად გავშორდი ბანაკს და ხლოვებით ათას ნაბიჯზე და, ბოლოს, თვალიდანაც მომეფარა იგი.

უეცრად მტრედები საოცრად დაფრთხენ. რამდენიმე ბიჯიც არ გადამედგა, რომ შევამჩნიე ლომების ნაკვალევი. კვალის სინჯვაში მე უნებლიედ გავიარე კიდევ ორას ნაბიჯამდე მდინარის კალაპოტის მიმართულებით და მარცხნივ ჩრდილი შევნიშნე. მე შევბრუნდი და 25 ნაბიჯის მანძილზე დავინახე ძუ ლომი. იგი გულდამშვიდებით მათვალიერებდა. ეს გრძელდებოდა რამდენიმე წამს. ძუ ლომი ჩირგვნარსა და ჩირგვნარს შორის პატარა გასავალში იდგა. მისი ბუნაგი, ეტყობოდა, ზედ ნაკადულის ნაპირას იყო. იმ წუთშივე ძუ ლომის პახლობლად, ექვსი თუ რვა ნაბიჯის მანძილზე, დავინახე ორი მიმავალი ლომი. ასე ახლო სამივე პირუტყვი წარმოუდგენლად დიდ შთ ბეჭდილებას იხდენდა.

თავზარდაცემული ვიდექი გაუნძრევლად. რამდენიმე წამს ერთმანეთის პირდაპირ ვიდექით ვეებერთელა ნადირი და ადამიანი. მე მწვავედ ვიგრძენი ჩემი წინდაუხედავი საქციელი, რომ ასე უიარაღოდ წამოვედი ბანაკიდან. ძუ ლომმა მშვიდად და გულგრილად შემაქცია ზურგი, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ხრამის მიმართულებით და უეცრად მიეფარა შამბნარში, სადაც მასზე წინ მიიმალენ მისი თანამგზავრებიც.

კიდევ ერთ წუთს ვიდექი იმავე ადგილას გაუნძრევლად, მერე გამოვბრუნდი და საჩქაროდ წამოვედი ბანაკში.

იქ მე მოვყევი ლომებთან შეხვედრის შესახებ.

— რასაკვირველია, — სთქვა ჩემმა თანაშემწემ, — ამაღამ უნდა ველოდეთ, რომ ისინი ჩვენ ბანაკსაც ესტუმრებიან.

მე შევუდექი სამზადისს. საერთო ძალ-ღონით მოვაწყეთ გომური, ს დაც ბოძზე მივაბით ვირი. მას უნდა მიეტყუებინა ლომი. დამალულ ადგილას მე დავდგი ფოტოგრაფიული აპარატი.

ვირი დაკბენილი იყო „ცე-ცე“ ბუზისაგან და დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებდა: „ცე-ცე“ ბუზის კბენა მომაკვდინებელია. დაკბენილი ცხოველები საშინელი ტანჯვით კვდებიან და როშელიმე მხეცის თავდასხმა ხშირად მათ იხსნის ხოლმე ხანგრძლივი წამებისაგან.

იმ ადგილებში, სადაც „ცე-ცე“ ბუზი მოიპოვება, შინაური ცხოველის მოშენება ხშირად ყოვლად შეუძლებელი ხდება. მეორენაირი ბუზი — „ცე-ცეს“ ახლობელი ჯიშისა, ადამიანს ღრმა ძილსა გვრის და აავადმყოფებს.

ადგილობრივი მცხოვრებლები ლომს სწორედ „ცე-ცე“ ბუზის მიერ დაკბენილი ცხოველით იტყუებენ და იჭერენ. მცხოვრებლების მახლობად სოგამენ ხოლმე ხაფანგს. ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ ხაფანგში გაბმულ ლომს ძალიან შორს, ჩირგვნარებში გაუტაცნია ხაფანგი. ზანგების ზოგიერთი ტომები ლომის ხორცს სჭამენ და ძალიან გემრიელ საჭმელადაც მიიჩნიენ.

რამდენიმე ღამის განმავლობაში ვიჯექი ჩასაფრებული დამზადებული ფოტოგრაფიული აპარატით ხელში გომურის მახლობლად. ჩემთან ერთ ორი ჩემი საიმედო გამყოლი—გატენილი თოფებით. მართლაც, მოლოდინი გაგვიმართლდა. ერთ ღამის ძუ ლომი შემოიპარა საცოდავ ვირთან, რომელიც ბაგაზე იყო დაბმული. როდესაც იგი ვირს უახლოვდებოდა, მეორე მხრიდან ხვადი ლომი გამოჩნდა. ამ დროს უკუნეთ ღამეში იფეთქა მაგნიუმმა და მთელი ეს სცენა გაანათა.

ხანძარი ველებში

ტროპიკულ აფრიკაში სავანების ზოლს გარს აკრავს უდაბური ველების ზოლი. აფრიკის ამ უდაბნო ველებში წლის ორი დროა—მშრალი და წვიმიანი. მაგრამ ველები უფრო მშრალია, ვიდრე სავანები, და აქ უკვე ველარ შეხვდებით ტროპიკული ტყეების იმ ზოლებს, რომლებიც სავანებს ყოველი მიმართულებით სჭრიან.

წვიმების შემდეგ ველები მწვანით იმოსება, ჭყავის და სურნელოვან ჭრილ ხალიჩას ემსგავსება. ეს დრო პირუტყვებისთვის პირდაპირ სამოთხეა. ველებში ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. ბალახი სწრაფად იზრდება, ასევე სწრაფად ყვითლდება და ხმება. ხმელი ბალახი მშვენიერ საკვებს წარმოადგენს პირუტყვებისათვის. ამიტომ აფრიკის ამ ველების შესახებ იტყვიან ხოლმე, რომ იქ „თივა იზრდება“.

აფრიკის ველების ფართე ზოლზე ყოველ წელიწადს გადივლის ხოლმე ხანძარი, რომელიც გზაზე ყველაფერს ანადგურებს. წელიწადის მშრალ პერიოდში ბალახიც და ჩირგვნარიც იმ ზომამდე ხმება, რომ ძალიან იოლად ეკიდება ცეცხლი, და მაშინ ველებზე სხვადასხვა ადგილას იფეთქებს ხოლმე ცეცხლის ვეებერთელა ჩირაღდანი.

როგორც კი დადგება მშრალი პერიოდი, ადგილობრივი მცხოვრებნი ველებზე აჩენენ ხანძარს, რომ ამ საშვალებით გზა გასწმინდონ ეკლიანი ბუჩქებისაგან და გაიადვილონ ველებზე სიარული. თუ ხანძრის შემდეგ უეცრად წვიმა მოვიდა, სულ მცირე ხანში ველებს დაფარავს ნორჩი და მწვანე ბალახი და ამგვარად იგი შესანიშნავ საბალახოებად იქცევა.

ხანძარი ველებში ვრცელდება საშინელი სისწრაფით და გრძელდება საათობით, დღეობით და კვირეობით. ცეცხლის ალი ფართე ზოლად მოძრაობს. წინ ფრინველების გუნდი მოფრინავს. ფრინველები თავს მშვენივრად გრძნობენ. ხანძარი მათთვის სრულებით არ არის საშიში. წამდაუწუმ ეშვებიან ისინი ძიწაზე და იჭერენ ნადავლს, რომელიც ამ დროს ასე იოლად ხვდებათ მათ კლანჭებში.

მსხვილი პირუტყვები ცდილობენ გაქცევით დაახწიონ თავი ხანძარს, შემდეგ, თუ გადამწვარ ადგილებში წვიმა გადაივლის და ბალახი ამწვანდება, ისინი ისევ უბრუნდებიან დატოვებულ ბინას. ის პირუტყვები, რომლებსაც მიწაში ჩაძრომა შეუძლიათ, მართლაც ძვრებიან სოროებში, სანამ ხანძარი გადივლიდეს მიწის ზედაპირზე. ცეცხლის სტიქიონი ველებში ამგვარად კეთილისმყოფელია და მეტად სასურველი პირუტყვებისათვის.

მოგზაურთათვის ველების ხანძარი საშიშროებას არ წარმოადგენს. ჩვეულებრივ ცდილობენ წინდაწინ მოსწვან ბანაკის გარშემო ბალახი და ამგვარად ხანძარს არ მისცენ მოახლოვების საშვალება. თუმცა ერთხელ, გაუფრთხილებლობის გამო, მე მოვხვდი ორი ეხვედრილი ცეცხლის ზოლს შუა.

ბოლისგან სული მეხუთებოდა და თვალებს ველარ ვახელდი, ამიტომ მიმართულება დავკარგე და აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავ. ბოლოს, ფეხსაცმელის ძირებდამწვარმა და ტანისამოსშიტრუსულმა, ძლივ-ძლივობით დავაღწიე თავი ცეცხლის ზოლს.

ლ. ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი პიონერები

ამჟამად ინგლისის ქვანახშირის რაიონებში შიმშილობაა გამეფებული. უკვე რამდენიმე თვეა 35.000 მუშა მემაღაროე უკიდურეს შიმშილს განიცდის. გავრცელებულია სიკვდილი, განსაკუთრებით ბავშებს შორის. სიღარიბე იმდენად შესამჩნევია, რომ მემაღაროების ცოლები ერთმანეთ შორის ტანსაცმელსაც თხოულობენ.

ბურჟუაზია, ე. ი. კონსერვატიული მთავრობა, რომელიც ამჟა ად გამეფებულია იქ, დღემდე ისეთ პოლიტიკას აწარმოებდა, რაც ხელს უწყობდა მუშების ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, მაგრამ ასეთი მდგომარეობის შექმნა ეხლა უკვე განსაკუთრებულ შიშს იწვევს, რომ მან არ იქონიოს გავლენა მათ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამიტომ ის თითქოს იღებს ზომებს, აგროვებს ძველ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ხსნის ფონდებს, რომ ამით დაეხმაროს მათ, მაგრამ მის გარდა განსაკუთრებულ მზრუნველობას მემაღაროეთა ბავშების მიმართ ინგლისელი პიონერები (ნორჩ მეგობართა კავშირი) იჩენენ.

ამ პიონერებმა ფართო კამპანია ჩაატარეს უმუშევართა დასახმარებლად, ყველგან აგროვებდენ ყოველგვარ ნივთს. ამას გარდა, მათ ისარგებლეს ერთი ჩვეულებით, რომელიც ინგლისელ მუშებს შორისაა გავრცელებული: ფულის გროვება ახალ წლამდე წვრილი თანხებით; მათ გამოითხოვეს ეს თანხები, გამართეს მთელი რიგი საღამოები და, ბოლოს, ამის საშვალებით სამხრეთ უელსიდან 70 ბავში მოათავსეს ერთი თვის განმავლობაში ლონდონის მუშების სხვადასხვა ოჯახებში.

ბავშებმა მოუთხრეს მუშებს უმუშევრობის ამბები, რამაც განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია მათ შორის და პრესაშიც ჰპოვა გამოძახილი.

იყო ასეთი შემთხვევებიც: ერთი 8 წლის ბავში, რომელიც მიიღეს ლონდონის ერთი მუშის ოჯახში, ცოტა გამოკეთების შემდეგ განერვიულდა. ერთ დღეს, სადილობისას, მშობლების მოგონების გამო დაიწყო ტირილი და იტირა, სანამ უკან არ დააბრუნეს. მეორე ბავში კომკავშირულ გაზეთში წერდა: „ჩემი მამა უკვე ექვსი წელია უმუშევარია, სამი წლის წინ მას შეეწყვიტეს დახმარება. ამასწინეთ დააპატიმრეს შვიდი დღითაც, იმის გამო, რომ ჩვენ, ბავშებმა, ფეხსაცმლების უქონლობის გამო შევწყვიტეთ სკოლაში სიარული. ჩემი ძმა აიძულეს წასულიყო სკოლაში და ამ ნიადაგზე ის ავად გახდა.

ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია ისე, როგორც კომკავშირი და პარტია, დიდ აგიტაციას ეწევა მუშებს შორის, რომ მათი ხსნა ასეთი მდგომარეობიდან შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციონური ბრძოლით, კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ დადგომით.

სანი

ინდოეთი

ინდოეთს განაგებს ინგლისის გენერალ-გუბერნატორი.

ინდოეთში 320 მილიონი მცხოვრებია.

ინგლისმა თავისი სიმდიდრე და ძლიერება შექმნა აღმოსავლეთ ქვეყნების გაცარცვით, რევოლუციის გამარჯვება კი აღმოსავლეთ ქვეყნებში უდრის ბრიტანეთის იმპერიის მოსპობას.

განსაკუთრებით ეს ეხება ინდოეთს, ვინაიდან ინგლისის ბურჟუაზია თავის ბედნიერებას ინდოეთის მუშებისა და გლეხების ხარჯზე ქმნის.

ინდოეთი უზარმაზარი ქვეყანაა, მდებარეობს აზიის სამხრეთ მატერიკზე და იქ ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნება, რომლებიც 200 სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ინდოელები უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევენ. ინდოეთი ძალზე მოსავლიანი ქვეყანაა, აქ თითქმის ყველა მცენარე ხარობს. მაგალითად: ბრინჯი, ხორბალი, შვრია, სიმინდი, ჩაი, ინდიგო, ოპიუმი, თუთუნი და სხვა.

მაგრამ, მიუხედავად მიწის მოსავლიანობისა, ინდოეთში მაინც დიდი სიღატაკეა, და აქაური გლეხობა და მოჯამაგირენი დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამის მიზეზი ის არის, რომ აქაური გლეხობა ამუშავებს არა საკუთარ მიწას, არამედ სხვის მიწებს. მიწა კი ეკუთნის სახელმწიფოს, კაპიტალისტებს და მემამულეებს. გლეხები ამ უკანასკნელებისაგან მიწას იჯარით იღებენ და ამისათვის აუარებელ საიჯარადრო გადასახადებს იხდიან.

ამიტომ ინდოეთში უმთავრესად მოიჯარადრე გლეხებია, რომლებიც იხდიან საიჯარადრო და სახელმწიფო გადასახადებს. სიღატაკე და სიმშილი ინდოელ გლეხთა შორის საერთო მოვლენაა.

სიმშილისაგან ინდოეთში მილიონობით იხოცებიან, განსაკუთრებით კი ქალები და ბავშები.

ინდოეთში დიდი მემამულეები 5-10 მილიონ დესიატინა მიწას ფლობენ.

ამგვარად ინდოეთის გლეხებს ატყავებენ ინგლისელი კაპიტალისტები, ადგილობრივი მემამულეები და მთავრობის მოხელენი.

შევიწროვებული გლეხობა ხშირად აწყობს აჯანყებებს, მაგრამ აჯანყებულ გლეხებს ებრძვის ინგლისის ჯარი და ამარცხებს.

მართალია, ინდოეთი სამიწათმოქმედო ქვეყანაა, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოდან იქ მრეწველობაც განვითარდა: მოეფინა აუარებელი ფაბრიკა-ქარხნები და რკინის გზები. ინდოეთის მრეწველობის აყვავებას ხელი შეუწყო იმპერიალისტურმა ომმა. ამ ომის დროს ინგლისელები ვეღარ ახერხებდენ ინდოეთში საქონლის შეტანას, ამით ისარგებლა ინდოეთის ბურჟუაზიამ და დაიწყო საკუთარი მრეწველობის განვითარება. ინდოეთში უმთავრესად განვითარებულია საფეიქრო და სალითონო წარმოება.

ინდოეთის მუშათა კლასი ჯერ ახალგაზრდაა. აქაურ მუშებს ჯერ კიდევ კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფელთან. მაგრამ რამდენადაც ვითარდება მრეწველობა,—იზრდება მუშათა კლასი და მისი კლასიური შეგნება. ინდოეთში ამჟამად 10 მილიონი მუშაა, აქედან 3 მილიონი მრეწველობაშია ჩაბმული. მუშის მდგომარეობა იქ ძალზე ცუდია, რაც გამოიხატება სამუშაო დროის სიდიდეში—მუშაობენ 13 საათს და ზოგიერთ წამოწყებაში მეტსაც—და მცირე ხელფასში.

ინდოეთში დაიწყო ბურჟუაზიულ-ეროვნული მოძრაობა. ინდოეთის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ გააჩაღა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ნაციონალურ-რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო ინდოეთში 1919—1920 წლებში. ინდოეთის ბურჟუაზიამ ამ ბრძოლაში გამოიყენა მუშები და გლეხებიც.

ინდოეთში განსაკუთრებით დევნილია **ინდოეთის კომუნისტური პარტია**, რომელიც მუშათა კლასის მოძრაობას ხელმძღვანელობს. მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ამ მოძრაობის შეჩერებას.

ალ. გორგაძე



პირველები სადურგლო დაზგასთან.

ირმების ჯოგი

ჩვენში რომ ასე დაუდევრად ხოცავენ, თუ სადმე წააწყდებიან, ირემს და აჩანაგებენ, არ აძლევენ გამრავლების საშუალებას, ასე არაა ჩრდილოეთის ბევრ მხარეში, მაგალითად, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეს ნაპირებზე, ტუნდრებში, სადაც ცხოვრობს სამოედების ტომი და იკვებება უმთავრესად თევზით და ირმით. იქ ირმით კვება შესაძლებელიცაა, რადგან მის მოშენებას მისდევენ, ირემი ბევრია და სხვა საჭმელიც არაა. მუდმივ სიცივეში, ყინულებში, ნახევრად ბნელ დღეებში სხვა საქონელი ვერ ძლებს; ირმის გარდა იქ ძვირფას ცხოველად ითვლება ძაღლი; თითო კარგ ძაღლში ათ და ოც ირემს მისცემს სამოედი, რადგან ძაღლებია მათი ფხიზელი დარაჯები, მგელთა ხროვისა და თეთრი დათვების თავდასხმისაგან დამცველნი.

სამოედები ძალიან უკულტუროდ ცხოვრობენ, წერა-კითხვა მათში არავინ იცის. ისე ჩამორჩენილები არიან და შორს ცხოვრობენ, ციმბირის უკიდურეს საზღვრებზე, ჩრდილოეთ პოლუსთან, რომ ეხლაც ბევრმა არ იცის მეფის ჩამოგდების ამბავი და ოქტომბრის რევოლუციის მიღწევები, მშრომელი ხალხის ხელისუფლების დამყარება...

ისინი ცხოვრობენ ობის ტუნდრებში. საშუალო საგოედს 200-300 ირემი მაინც ჰყავს, მდიდარ სამოედს — 1000, 1500, ძალზე მდიდარს (არკა-ტეტას) — 3000 სული, მაგრამ სუყველაზე მეტი ჰყავს **იაკუ ონოხირიუჩის**—10,000 სული.

კულაკი ყველგანაა, და ესეც ამ ოლქის კულაკია.

მან ამასწინად აქ მყოფ მოგზაურ რუსებს, რომლებსაც გაუმასპინძლდა ირმის ხორცით (ირემს აქ დანით არ კლავენ: ცოდვაა, და ახრჩობენ) და გაყინული თევზეულით, უთხრა: „თქვენ პასპორტები გაქვთ, ჩვენცა გვქონდა ხოლმე მეფის დროს კვიტანციები, გადასახადს ვიხდიდით. ეხლა აღარავინ გვთხოვს; მეფე-ცაკს უთხარით გამოგზავნოს ხალხი და აკრიფოს ჩვენში გადასახადი“. შემდეგ მანვე უთხრა: „გავიგე, რომ ჩვენში სკოლის გახსნას აპირებენ და შეეხვეწეთ მთავრობას, სთხოვეთ, რომ აქ სკოლა არ გახსნას; სამოედს რათ უნდა სკოლა, სწავლა; საკმარისია მან იცოდეს ირმების ჭერა და გაწვრთნა“. ღარიბ სამოედებს კი სურთ სინათლეზე გამოსვლა და ამ კულაკის ბრჭყალებიდან განთავისუფლება.

— გვინდოდა იაკუ ონოხარიუჩისთვის ჩამოგვერთმია ამ ირმების ჯოგი და გაგვენაწილებინა ღარიბებს, მაგრამ მოთავე, ორგანიზატორი არავინ გამოგვიჩნდა“ — განაცხადა ერთმა ღარიბმა სამოედმა.

ირმებს იქ ყველაფერში ამუშავებენ.

ხ. ერთაწმინდელი

სიტყვები ალიო მაშაშვილის

თებერვლის ზეიმი

მუსიკა **კოკელაძის**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — სახელგამი

1929 წ.

გამოდის — გამოდის

საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები

მოზრდილთათვის **პიონერი** ორკვირეული **IV წ.**

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.
ექვს თვეს — 3 მან.
სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მცირეწლოვანთათვის **„ოქტომბრელი“** ყოველთვიური **III წ.**

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ოქტომბრელ“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერ — 35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის კამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტომბრელი“-ს რედაქცია

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი № 22.

მთავარლიტი № 242. შეკ. № 74. ტირაჟი 1000.